



**აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალოზი  
2019-2024**

ბსსუ-ში აკადემიური პერსონალის კმაყოფილება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის მუშაობის ეფექტურობას მისი საქმიანობის ყველა სფეროში. ადმინისტრაციის მიერ სხვადასხვა ფაქტორების შეფასება, რომლებიც კადრების კმაყოფილებას განსაზღვრავს, იძლევა საშუალებას, დროულად განხორციელდეს სწორი მენეჯმენტი, მოხდეს საჭირო კორექტირების შეტანა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს შორის დროული უკუკავშირის დამყარება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარის კრიტერიუმები შეიძლება გაერთიანდეს შემდეგი თემატიკის მიხედვით:

- სამუშაო პირობებით კმაყოფილება;
- უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური კლიმატით კმაყოფილება;
- საინფორმაციო სისტემით და ინფორმაციის ხელმისაწვდომობით კმაყოფილება;
- პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით და კარიერული ზრდით კმაყოფილება;
- უნივერსიტეტის როლით და საქმიანობით კმაყოფილება.

აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტში მუშაობით კმაყოფილების გაზომვის ალგორითმი ყველა კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება გაიზომოს ხარისხის ხუთი დონით:

- "ძალიან დაბალი"
- "დაბალი"
- "დამაკმაყოფილებელი"
- "კარგი"
- "მაქსიმალური"

თითოეული ხარისხის დონეს ენიჭება ინდექსები:

- ძალიან დაბალია - 1
- დაბალი - 2
- დამაკმაყოფილებელი - 3
- კარგი - 4
- მაქსიმალური - 5

გამოკითხული პერსონალი ასაკის მიხედვით: 43% არის 41-50 წლამდე, 29% - 61-70 წლამდე, 21%-51-60 წლამდე, 7% - 30-40 წლამდე. გენდერული ბალანსის მიხედვით: 49% ქალი, 51% მამაკაცი.


სტატუსის მიხედვით: სამეცნიერო ხარისხის მიხედვით: პროფესორი-14; ასოცირებული პროფესორი - 20; ასისტენტ-პროფესორი - 6; ასისტენტი - 5. სპეციალისტი (I კატეგორია - 68; II კატეგორია - 17); აკადემიური დოქტორი - 17; მეცნიერებათა დოქტორი - 1.

**უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრის მოდელი**

ინტერვალი (ქულა)	კმაყოფილების ხარისხი	ხარისხის ინდექსი	ქულათა შესაბამისობა
0<n<20	ძალიან დაბალი	1	0-2
20<n<40	დაბალი	2	3-4
40<n<60	დამაკმაყოფილებელი	3	5-6
60<n<80	კარგი	4	7-8
80<n<100	მაქსიმალური	5	9-10


პროფესიით და სოციალური სტატუსით კმაყოფილება

მაჩვენებელი	საშუალო ქულა					კმაყოფილების ხარისხი
სოციალური სტატუსით კმაყოფილება	8,24	8,35	8,48	8,78	8,80	მაქსიმალური
პროფესიით კმაყოფილება	8,23	8,34	8,52	8,56	8,86	მაქსიმალური




საბუშაო პირობებით კმაყოფილება

მაჩვენებელი	საშუალო ქულა						კმაყოფილების ხარისხი
დატვირთვა	7,58	7,64	7,78	7,89	7,89	7,89	კარგი
ხელფასები	5,56	5,47	5,62	5,68	5,76	5,76	დამაკმაყოფილებელი
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	7,35	7,42	7,48	7,54	7,68	7,68	კარგი
ბიბლიოთეკა	6,58	6,64	6,78	6,89	6,89	6,89	კარგი
სატუდენტების საბაზისო დონე	5,23	5,26	5,54	5,78	5,82	5,82	დამაკმაყოფილებელი




ფსიქოლოგიური კლიმატით კმაყოფილება

მაჩვენებელი	საშუალო ქულა					კმაყოფილების ხარისხი
დამოკიდებულება რექტორთან	8,22	8,42	8,34	8,66	8,78	მაქსიმალური
ადმინისტრაციასთან	8,34	8,56	8,68	8,88	8,96	მაქსიმალური
კოლეგებთან	8,45	8,23	8,35	8,75	8,86	მაქსიმალური
სტუდენტებთან	8,58	8,68	9,24	9,56	9,68	მაქსიმალური



საინფორმაციო სისტემით კმაყოფილება

მაჩვენებელი	საშუალო ქულა					კმაყოფილების ხარისხი
რექტორი	8,56	8,67	9,45	9,56	9,58	მაქსიმალური
აკადემიური საბჭო	8,34	8,36	8,48	8,86	8,88	მაქსიმალური
ადმინისტრაცია	8,45	8,50	8,57	8,68	8,72	მაქსიმალური
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	8,26	8,45	8,68	8,72	8,72	მაქსიმალური
დეკანატი	8,69	9,23	9,45	9,86	9,88	მაქსიმალური
დეპარტამენტი	8,93	8,97	9,48	9,56	9,58	მაქსიმალური
კადრები	8,78	8,79	8,79	8,82	8,86	მაქსიმალური
კოლეგები	8,67	9,23	9,35	9,54	9,68	მაქსიმალური




პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

მაჩვენებელი	საშუალო ქულა					კმაყოფილების ხარისხი
ტრენინგები	6,47	6,58	6,58	6,58	6,62	კარგი
სემინარები, საჯარო ლექციები	8,65	8,56	8,89	8,92	8,92	მაქსიმალური
ვორქშოფები, მასტერ-კლასები	8,69	9,23	9,45	9,86	9,88	მაქსიმალური
კონფერენციები საქართველოში	7,35	8,45	7,68	7,82	7,88	კარგი
კონფერენციები უცხოეთში	3,57	3,68	4,35	4,54	4,56	დამაკმაყოფილებელი
სხვა უნივერსიტეტის კოლეგებთან ჩართულობა	7,14	7,32	7,36	7,48	7,88	კარგი
ინდივიდუალური განვითარება	8,34	8,34	8,52	8,56	8,86	მაქსიმალური
ახალი ლიტერატურის შესწავლა	6,11	6,15	6,56	6,56	6,58	კარგი
დისერტაციის დაცვა/შემოქმედებითი განვითარება	7,55	7,21	7,24	7,68	7,86	კარგი



უნივერსიტეტის როლით და საქმიანობით კმაყოფილება

მაჩვენებელი	საშუალო ქულა					კმაყოფილების ხარისხი
მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ღირებულებებით	8,35	8,69	9,64	9,96	9,96	მაქსიმალური
უნივერსიტეტის ცვლილებების მენეჯმენტით	7,34	8,45	8,57	8,68	8,88	მაქსიმალური
პერსონალის უფლებამოსილების დელეგირებით	8,12	8,34	8,78	9,56	9,64	მაქსიმალური
რექტორის საქმიანობით	8,56	9,34	9,67	9,96	9,78	მაქსიმალური
ადმინისტრაციის საქმიანობით	8,78	9,23	9,52	9,56	9,64	მაქსიმალური
უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართულობით (მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება და სხვა)	7,16	7,34	8,64	8,88	9,48	კარგი
უნივერსიტეტის როლი პროფესიულ სფეროში	6,77	7,34	7,56	7,68	8,86	კარგი
უნივერსიტეტის როლი საზოგადოებაში	7,41	7,46	7,43	7,68	8,46	კარგი
პერსონალის თვითგანვითარებით	6,22	6,56	6,48	6,78	7,36	კარგი



**დასკვნა:**

წარმოდგენილი დიაგრამები გვიჩვენებს, რომ ბხსუ-ს პერსონალის შეფასებით, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი არის შედგეზე ორიენტირებული და მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზების უნარის მქონე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება.

განსაკუთრებით მაღალია ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის კმაყოფილება შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მექანიზმებით, აკადემიური თავისუფლებით, სასწავლო პროცესების მართვით, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით, საზოგადოებაში უნივერსიტეტის ცნობადობით, საკუთარი პროფესიით, ბხსუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობების დაცვით, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული განვითარების მიმართულებითა და გეგმის შემუშავებაში ჩართულობის დონით, ერთობლივი აქტივობებით, პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის სისტემის გამჭვირვალობით, პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების ობიექტურობით, ინფორმირებულობის უზრუნველყოფით, ბხსუ-ში არსებული გარემოთი. კმაყოფილების მაღალი ინდექსი გამოვლინდა ისეთ ასპექტებშიც, როგორებიცაა პერსონალის სხვადასხვა ფუნდამენტურ პროცესში ჩართულობა (მისიის, ხედვის, სტრატეგიული განვითარების განხილვა-შემუშავება, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი), სამუშაო გარემოს სრულყოფა, მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

აკადემიური პერსონალის შედარებით დაბალი კმაყოფილების მაჩვენებელი დაფიქსირდა ბხსუ-ს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ბხსუ-ს ინტეგრირებით, საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობით. აღნიშნული საკითხი - ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული სამომავლო ხედვა, უფრო ფართო მასშტაბით გათვალისწინებულ იქნა ბხსუ-ს ადმინისტრაციისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ბხსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში. დაბალია ასევე აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურებით და მატერიალური წახალისების მექანიზმებით კმაყოფილება.

ზოგადად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი უნივერსიტეტის საქმიანობას აფასებენ „კარგად“. აკადემიური პერსონალის კმაყოფილების ხარისხის ინდექსი მერყეობს 3-დან 5 -მდე. უფრო მეტად სჭარბობს „კარგი“ და „მაქსიმალური“ შეფასება, რაც, ზოგადად უნივერსიტეტის გამართულად მუშაობაზე მეტყველებს.

ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადებითად აფასებს ბხსუ-ს აქ წარმოდგენილ ასპექტებთან მიმართებაში ჩატარებულ სამუშაოებს და ჩატარებული კვლევის საფუძველზე იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

1. ბხსუ-ში მიმდინარე სამუშაო და ფუნდამენტურ პროცესებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა;
2. პერსონალისათვის განხორციელებული მონიტორინგების შედეგების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა, მათი აზრების მოსმენა და რეკომენდაციების შემუშავება;
3. სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით ტრენინგების დაგეგმვა და ჩატარება სხვადასხვა თემატიკაზე;
4. ინტერნაციონალიზმის მიმართულებით პერსონალის ჩართულობის გაზრდა;
5. პერსონალის მატერიალური წახალისების მექანიზმების შემუშავება;
6. პერსონალის სახელფასო ანაზღაურების გაზრდის შესაძლებლობების განხილვა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ერთად შესაბამისი ღონისძიებების გატარება.